

დიალექტური ლექსიკის აღზილი სალიტერატურო მნაში

დიალექტური ენობრივი მასალიდან, როგორც ცნობილია, მხოლოდ ლექსიკა შეიძლება იქცეს სალიტერატურო ენის კუთვნილებად (გარკვეულ შემთხვევებში, რამდენადაც დიალექტურ ლექსიკას შეიძლება ახასიათებდეს სპეციფიკური სიტყვათწარმოებითი აფიქსები, ამდენადვე სიტყვასთან ერთად სიერთო ენაში მოსალოდნელია აღმოჩნდეს ამ რიგის აფიქსური ელემენტებიც), თუმცა აქაც ერთგვარი კანონზომიერება უნდა იყოს დაცული. თუ სალიტერატურო ენის რომელიმე საგნის ან მოვლენის სახელწოდება უკვე აქვს დამკვიდრებული (იგი, ჩვეულებრივ, მომდინარეობს ფურქ დიალექტიდან) — სალიტერატურო ენის მონოლითური ხასიათის შესაბანისუნდღად — საჭირო აღარ არის მისი დიალექტური სინონიმური წყვილებით გართულება (ნეგ., იხვის გვერდით აღარ არის საჭიროება სალიტერატურო ენაში მას შეეცილოს დიალექტური ძვირა, ან გოგოს გვერდით დავუყენოთ დიალექტური ძლიბი და მისთანანი. აქ მხედველობაში არა გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა გარკვეული კოლორიტის შესაქმნელად მათ მიმართავს მწერალი).

სხვა მხრივ კი დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ძირითადი წყაროა. ბუნებრივია, პირველ რიგში ამ მიზნით ენა მიმართავს სალიტერატურო ენის ფურქ დიალექტს (ჩვენს შემთხვევაში — ძირითადად ქართლ-კახურს), მაგრამ სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის დახვეწავამდიდრებისათვის საჭირო სისრულით უნდა იქნეს გამოყენებული შველა დალექტის ლექსიკური მონაცემები.

დიალექტური ლექსიკის გამოყენების მხრივ განსხვავებული ვითარება შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა სალიტერატურო ენაში.

ძველი და განვითარების უწყვეტი ტრადიციის მქონე სალიტერატურო ენებში, რა თქმა უნდა, დიალექტური ლექსიკის შეჭრა ძირითად სიტყვიერ ფონდში ნაკლებად არის მოსალოდნელი, დროთა ვი-

თარებაში მას უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებული სახე იქნა მი-
ლებული, სამაგიროლ, იგივე არ ითქმის ბხალდამწერლობიან ენებზე.
ამ ენებში დაალექტური და სალიტერატურო მას მკვეთრად არ უპი-
რისპირდებიან ერთმანეთს. ერთი და მავე საგნის სახელად აქ დია-
ლექტური სახეობები უფრო თავისუფლად მონაცემებენ.

სხვადასხვა მოცულობით აისხება დიალექტური ლექსიკა სხვა-
დასხვა სალიტერატურო ენაში ასევე თვით ენის დიალექტური შეზ-
გნილობის მიხედვით: რაც უფრო დიალექტურად დიფერენცირებუ-
ლია ენა, მით უფრო მეტი დიალექტური წარმომავლობის სიტყვები
აისხება სალიტერატურო ენაში. კერძოდ, ქართული ენა, გავრცელე-
ბული შედარებით მცირე ტერიტორიაზე, საქმით დიფერენცირებუ-
ლია დიალექტურად. ამის შესაბამისად ს ხ ვ ა ლ ა ს ხ ვ ა კ უ თ ხ ი ს
დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი რ ე ა ლ ი ე ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი დ ი ა-
ლ ე ქ ტ უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ა ს ა ქ მ ა რ ა დ გ ი ლ ს ი ჭ ე რ ს დ ა დ ა ი-
შ ე რ ს ქართულ სალიტერატურო ენაში.

ენის ლექსიკურ შემაღებელნობას უროთა ვითარებაში სერთოდ,
და განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, დიდი ცელილებები მოსდის. ახა-
ლი საგნები, ახალი მოვლენები, თვით სალიტერატურო ენის გამო-
ყენების ორეალის გაფართოება მოითხოვს ენობრივი რეზერვის ამო-
ქმედებისა და გააქტიურების გზით ენის ლექსიკური შემაღებელნობის
გამდიდრება-დახვეწა. ამ საქმეში ფრიად მნიშვნელოვანია სწორედ
დიალექტური ლექსიკის როლი.

სხვადასხვა დიალექტის შეტყველებაში დაცულია მრავალი ლექ-
სიკური ერთეული საერთო ენის ბუნებასთან შეხამებულ თავისებურ
სიტყვაწარმოებით საშუალებებთან ერთად (ქართული ენის დიალექ-
ტებისათვის ამ მხრივ დამახსოვიათებელი — რაიმე თვისების მქონებ-
ლობის გამომხატველი, კნინობითობის ამსახელი და მსგავსი აფიქ-
სები), რომლის ჩართვა საერთო ხარებაში დიდად შეუწყობს ხელს
სალიტერატურო ენის ლექსიკის შემდგომ განვითარებას, შეუწყობს
ხელს იმ პრეტიცეული საკითხების გადაწყვეტას, რომელიც ყოველ-
დღიურად წამოიჭრება ჩვენი ცხოვრების სწრაფი ტემპის პირობებში
სალიტერატურო ენის გეგმაზომიერი განვითარებისას.

ხშირად სპეციალისტებს უჭირთ სათანადო მოხდენილი წარმოება
შეურჩიონ ახალ ცნებას, საგანს, მაშინ როდესაც ამა თუ იმ კუთხის
შეტყველებაში შეიძლება დაიძებონს ამისათვის აღეკვატური მონა-
ცემი.

საჭირო გახდა, მაგალითად, რუსული „ნერაზმერნი“-სთვის
ისეთი ქართული შესაბამისის მორგება, რომელიც გზას გაიკაფავდა
ენაში და ადეილად დამკვიდრდებოდა. მიმართეს უ ზ ო მ ო -ს, უ ს ა-
5. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ზომებს, მაგრამ ეს არ გამოდგა; შეიქმნა ვნებითის. წარმოების ფორმაზე დაყრდნობით იწერება და დი. ხელოვნურობის იერი და ჰუკება და ერც ეს დაკვიდრდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდი დაცულია დიალექტური ლექსიკონების მასალები. ერთ-ერთ რაჭულ მასალაში მოტივტივდა სიტყვა მაწევანა (დიალექტურა „მარწევანა“ ფორმის სისით) სათანალო საილუსტრაციო ტექსტში ასეთი დღიულია: „წინდა მოგიქსოვე ცუბნება ბებია შვილიშვილს), პატირა არი, მაგრამ ჩაიცვა, მაწევანა არის და მოვერგება“—ო.

ის ეს წარმოება თავისი მ(ა)- — ან-ა აფიქსაციით უფრო მოხადენილი გამოდგა ზემოთ მოყვანილი შემთხვევისათვის. იყო ცდა ახალი სიტყვის წარმოებისა გარკვეული ტიპის ვნებითის ფორმის მეშვეობით (ძველ ქართულში ნაცადი წარმოების მსგავსად), ხალხმა კი აწარმოვა მ-ტკიფ-ან-ა-, მ-ციფ-ან-ა (შდრ. იგრეოვე — მა-ჩქენალი) ტიპის შიხედვით.

იგი ადგვატურად და მოქნილად გადმოვვცემს საჭირო ცნებას და მიმღებაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ იგი მოიწონა და გზა გაუსხნა მის ჩართვას სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკურ ფონდში.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთია ასეთი დიალექტური მასალის მოპოვება, გამოვლენა და, მეორე მისი დროული გამოყენება, ჩართვა საერთო ეროვნულ ლექსიკონში. ამ მიმართულებით მეტად ცწყობილი მუშაობა მოვალეობება, გადაუზებელი საჭმა დროულად ღამებინა და გამოყენება ღიალექტებში არსებული სარეზერვო ფონდისა.

ენას, მაგალითად, დასტურდა რუსული განთხმები „მილიუმ პროდუქტ“-ის შესატყვევის ქართულად და თითქოს სავსებით წესიერად ითარგმნა კიდეც ივ „რძის ნაწარმ“-ად. საჭირო კი იყო მისი ასეთი აღწერითი გადმოვევა? ქართული ენის დიალექტები ნუთუ არ გვაწვდიდა ამსახურის შესაფერ ლექსიკურ ერთეულს?

ამ ზანიშნულებით მრავალი სიტყვა დადასტურდა სხვადასხვა ქართულ დალექტში:

წველა და წველეული რაჭულში („წველი და წველეული“ ერთია. წველეული არის რძე, ხაჭვა, ერბო, ყველი, ნაღული, რაც რძილან გამოდის“).

1 ი. გიგინე იშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 691.

წულით (წველი) ამავე გაგებით ნახმარი აქვს ზოგადი ფანასკერტელ-ციციშვილს².

ამავე სიტყვის მნიშვნელობისათვის საყურადღებოა ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ის ადგილიც, სადაც ეკითხულობთ „...გიორგიშვილისა თუ რე დადგეს. ჩარჩვა წულით ა ვიდრე გიორგიშვილობამდე. ეგრეთ ვევე ქრისტეს-შობისა მარხვანი და წმიდათა მოცეკვლთან საეკლესიო დიდითა მოლუაწებითა და ქოთილად-ქრისტულუაწებითა აღასრულნიან“³. ამავე მნიშვნელობით მას ვადასტურებთ გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც:

„ეგრეთვე ჰყოფდა წმიდა ესე, რამეთუ ძაბა შეემოსა და უჯამლოდ და თავლია და უღვნოდა და უწულოდ ეიღოდა გზასა მას იწროსა, რამეთუ ღლესა შინი ერთგზის მიიღის პური და წყალი“⁴.

იქვე, ცოტა, ქვემოთ ვკითხულობთ:

„...რამეთუ იჯნა სრულიად ღვნისაგან და წულისა. და პმისიერ სამოსლად მისა ქუეშე ძაბა ფიცხელი, ხოლო მას ზედა საფარველად ჩინებ ერთი და, რამთა არა განვიგრძო სიტყუად ჩემი, ყოველნივე სათხოებანი თავსა შორის თვისა დაიუწვნა...“⁵

ხევსურულსაზე და მთიულურში⁶ ამავე გაგებით გვხვდება ნაწველნადვები (ასევე თუშერში დასტურდება წველა-დადვება). იმავე მთიულურში იხმარება აგრეთვე რძეული⁷, იმერხეულში გამოიყენება

² ჩ. ზაზი ფარნასკერტელი ი-ცი ცი შე ი ღა, სამყურალო წიგნი, კარბალინი, ტექსტი მოამზადე, კრმაკლევები, შენიშვნები, სიძიებლები და ლექსიკონი დაუროთ პროფ. ჩინებილ შენგელიაშ, თბ., 1978.

³ ი. ნ. მარას გამოცემა: Житие Григория Хандстенского, С.—Петербург, 1911, თავი XII, გვ. 31—34.

⁴ ქველი ქართული აგოთგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), დასამუშად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. ლოლაგიძემ, ც. ქურციძემ, ც. ქანკევემა და ც. ჭავაძემამ; ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაციით, თბ., 1967, გვ. 120, 23—26.

სხვა რედაციებში აღნიშვნელი სიტყვის აღვილას მთითებულია უწყლო, უწყლო (იქვე, შემ. 27), კერძოდ, ილ. ხახანაშევილისეულ გამოცემაში ამ იდგილის იკითხება უწყლო (ის. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღმებით, თბ., 1901, გვ. 292).

საბა თრგულიანის ამავე გაგებით მოპყავს სიტყვა ხაურწყო, რომელსაც ასე ვანმარტივა: „სძე, ერბო, ყველი და მისთანანი“.

⁵ იქვე, გვ. 129, 22—28.

⁶ ალ. კინტარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 267.

⁷ ლ. კაბაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 223.

⁸ იქვე, გვ. 267.

ამ შინაარსით — წოდა-ღ⁹, იმერულში — ძროხეული¹⁰, თუშურში — საქლურაჭა¹¹, ქართლურში — თეთრეული¹² და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა თეთრეული. ივი აღმოჩნდა ქართული ენის ფუძე დიალექტში — ქართლურში. მის ზემოთ მოყვანილ გაებას მხარს უჭირს თუშური დიალექტიც, და არა თუ ოდენ ქართული დიალექტები, იგი სავსებით შესაფერისი გამოდის აღნიშნული შინაარსით საერთო ქართველური სახელდებისათვის. კერძოდ, მეგრულში ამ დანიშნულობით იხმარება იმავე სემანტიკის მქონე ჩეობუა: „ჩეობუა ვა არყო დო მუთუნი“ („თეთრეულობა“, ე. ი. რძის ნაწარმი, არ იკლია და არაფერი).

ამრიგად, საესებით შესაფერისი სიტყვა არ იქნა გამოყენებული თავისი დანიშნულებით. ამას სხვა გარემოებამაც შეუშალა ხელი: კალკირების გზით თეთრეული დაკავებული აღმოჩნდა რუსული სიტყვის „ნელეა“-სთვის, რამაც, თავის მხრივ, შეზღუდა ქართ. საცვალის ამ დანიშნულებით გამოყენება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დ. ჩუბინაშვილი რუსული ნელეა-ს თარგმანში „თეთრეულს“ არ იყენებს¹³.

სხვა მაგალითიც შეიძლებოდა მოგვეყვანა: მეცნიერების ჭინსკლამ მოითხოვა რუსული დავლენე-ს შესაბამისი ტერმინის შექმნა. შეიქმნა კიდევ ასეთი ტერმინი წერა. ტერმინი საყმაოდ მოქნილი გამოდგა (თუმცა აღუნიშნავთ, რომ იგი „უკანონოდ“ არას ნაწარმოები).

სამაგისტროდ, საგულისხმოა, როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ხალხური მეტყველება. დიალექტში, კერძოდ, ზემომერულში, ქ. ძოწენიძის მასალის მიხედვით, „სისხლის წნევისათვის“ გამოიყენება „სისხლის კრევა“ („ექიმმა მითხრა: ნორმალური სისხლის კრევა ვა გაქო“)¹⁴.

აქ, რა თქმა უნდა, ამ რიგის ფაქტები იმიტომ არ გავიხსენეთ, რომ უკვე დამტკიცირებულთა შეცვლას მოითხოვდეს ვინმე, მაგრამ ამგვა-

⁹ ი. ვიგინეაზვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 655.

¹⁰ ქეთევან ძოწენიძე, ზემომერული ლექსიკონი, თბ., 1974.

¹¹ ი. ვიგინეაზვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 584.

¹² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955. თეთრეული მნიშვ. 2.

¹³ ი. რუსეთის ენაში, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

¹⁴ ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

რი მოვლენებისათვის ანგარიშის გაწევა უთუოდ საჭიროა ლექსიკურ შესაბამისობათა და სიცონიმთა შერჩევისის.

სალიტერატურო ენის შემდგომი გამდიდრება-დახვეწისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შეძლებისდაგვარად ს რ უ ლ ა დ იქნეს გამოვლენილი დიალექტური ლექსიკური ერთეულები (მათი გავრცელების არეალის ჩვენებით), რათა მათ შესაბამისი ადგილი მიუჩინოს სიერთო სალიტერატურო ენის მიმოქცევაში.
